ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4278837

ნომერი: AR1644975

თარიღი : 20.11.2018

გაცემის თარიღი : 26.11.2018

გაცნობის თარიღი : 28.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით გურამიშვილის , N86;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კუტალაძე პ/ნ 01019021150
- გურამიშვილის გამზირი ელ. მავალ მშენებელი ქარხნის მოპირდაპირედ

ორგანიზაცია:

- შპს "A.M.D" კოდი: 404894664

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
- ფოტომონტაჟზე გამოსაყენებელ მასალაზე დატანილ იქნას საერთაშორისო ფერის კოდები (RAL RGB). (თქვნს მიერ მითიტებული საერთაშორისო ფერის კოდები არ შეესაბამება რეალობას).
ამასთან ვინაიდან წარმოდენილი ფოტო და ფოტომონტაჟის თანახმად ფასადზე არსებული აივნების ნაწილში ხდება ცვლილება, საჭიროეა წარმოდგენილ იქნას არსებული ანაზომი და საპროექტო ესკიზური , ფრაგმენტული ნახაზები (გეგმა, ფასადი)
ამასთან მოგახსენებთ რომ არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება, წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ფართის მესაკუთრის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში ან წესდების თანახმად უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.